უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის შესახებ დასკვნა

ბიზნეს-ინფორმატიკა

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

1/26/2022

დასკვნის მომზადების მიზანი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით გათვალისწინებული რეკომენდაციების ან/და რჩევების საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესრულების შეფასება.

ანგარიშის შეფასების პრინციპები

წარმოდგენილი ანგარიში უნდა შეფასდეს შემდეგი პრინციპების დაცვით

- ანგარიშის შევსების სისწორისა და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისობის შეფასება
- აკრედიტაციის პროცესის შედეგად აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას გამოკვეთილი და შესრულებული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესრულებისთვის შერჩეული მეთოდების/მიდგომებისა და შედეგების შეფასება
- რეკომენდაცი(ებ)ისა ან/და რჩევ(ებ)ის შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებების შეფასება
- ანგარიშის შესწავლის შედეგების ფორმირება

ექსპერტი

სახელი: ნანი

გვარი: არაბული

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	424066977

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[1]	ბიზნეს-ინფორმატიკა
2	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა (უმაღლესი განათლების II საფეხური)
3	კვალიფიკაციის დონე[2]	დონე 7
4	კვალიფიკაციის დასახელება	ინფორმაციული ტექნოლოგიების მაგისტრი
5	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[3]	
6	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)[4]	0612 მონაცემთა ბაზებისა და ქსელების დიზაინი და ადმინისტრირება
7	სწავლების ენა	ქართული
8	ECTS კრედიტების რაოდენობა	120
9	განხორციელების ადგილი[5]	ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. 122 უნივერსიტეტის II კორპუსი. საქართველო 0800
10	საგანმანათლებლო პროგრამის სტატუსი-აკრედიტაცია შესაბამისი საბჭოს ბოლო გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	№ 1138282 30/11/2020 საბჭოს გადაწყვეტილება პროგრამის აკრედიტაციის შესახებ.
11	გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	30.11.2020

[1] დასახელება შინაარსობრივად შეესაბამება დეტალურ სწავლის სფეროს
[2] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით
[3] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში
[4] განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორი ((ISCED – F – 2013)
[5] ქვეყანა, საფოსტო ინდექსი, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

12	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა, თარიღი	1 წელი 30.11. 2021
13	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	30.11. 2027

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შეფასება საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების მიხედვით

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

შესასრულებელი რეკომენდაცი(ებ)ი[6]

1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობაში დაკონკრეტდეს უცხო ენა და ჩაიწეროს - ინგლისური ენა და ცოდნის დონე B2.
2. დაზუსტდეს სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობები შემდეგ სასწავლო კურსებზე: „პრაქტიკა“, „ბიზნეს-მოდელირების კომპიუტერული ტექნოლოგიები“, „ბიზნეს-ინგლისური“.
3. სასწავლო კურსი „ობიექტ-ორიენტირებული პროგრამირება (C++/C#)“ შინაარსი გაძლიერდეს მაგისტრატურის დონის შესაბამისად.
4. კურსში „ქსელური ტექნოლოგიები და კომუნიკაციები“ ჩაემატოს უკაბელო კომუნიკაციების საკითხები.
5. სასწავლო კურსის „ინფორმაციის დაცვა და უსაფრთხოება“ შეიცვალოს სხვა კურსით, რომლშიც შეისწავლება კიბერუსაფრთხოების და კიბერთავდაცვის საკითხები.
6. დამსაქმებლებთან გაფორმებული მემორანდუმები ითვალისწინებს სტუდენტების რაოდენობას, პრაქტიკის მიზანს და ხანგრძლივობას.
7. რეკომენდირებულია უსდ-მ დანერგოს მოცემული პროგრამისთვის ქმედითი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტების ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებსა და კვლევით პროექტებში ჩართვას.
8. ვინაიდან აღნიშნული პროგრამა არის ბიზნეს-ინფორმატიკის, ბიზნესის მიმართულებით გადაიხედოს და დაიხვეწოს საგნების თემატიკა, ჩამოყალიბდეს სტრატეგიულიდან ოპერირების დონეზე.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია[7]

სსიპ-სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას ,,ბიზნეს-ინფორმატიკა“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილებით (#MES 2 20 0001138282) მიენიჭა 7 წლიანი აკრედიტაცია, აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების ერთ

[6] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების რაოდენობის გათვალისწინებით

[7] საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.

წელში ანგარიშის წარმოდგენის პირობით. აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით პროგრამას განესაზღვრა 8 რეკომენდაცია.

როგორც დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, პროგრამაზე გაცემული რეკომენდაციების შესრულების მიზნით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შეყვანილი იქნა პროგრამის ხელმძღვანელი და თანახელმძღვანელი, დარგის სპეციალისტები (პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი), დამსაქმებელი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. ასევე უსდ-ს სტრქტურული ერთეულების ხელმძღვანელები. პროგრამაში განხორციელებული ცვლილებებით ,,ბიზნეს-ინფორმატიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამამ რეკომენდაციების შესრულების შემდეგ პროგრესი განიცადა შემდეგი მიმართულებებით:

1. პროგრამის წინაპირობაში დაკონკრეტდა უცხო ენის მისაღები გამოცდა - ინგლისური ენა, B2 დონე;
2. სასწავლო კურსში: „პრაქტიკა“, „ბიზნეს-მოდელირების კომპიუტერული ტექნოლოგიები“, „ბიზნესინგლისური“ დაზუსტდა დაშვების წინაპირობები;
3. სასწავლო კურსის „ობიექტ-ორიენტირებული პროგრამირება (C++/C#)“ შინაარსი გაძლიერდა მაგისტრატურის დონის შესაბამისად;
4. სასწავლო კურსში „ქსელური ტექნოლოგიები და კომუნიკაციები“ ჩაემატა უკაბელო კომუნიკაციების საკითხები.
5. სასწავლო კურსი - „ინფორმაციის დაცვა და უსაფრთხოება“ შეიცვალა სხვა კურსით „ინფორმაციის დაცვა ბიზნესში და კიბერუსაფრთხოება“, რომელიც ორიენტირებულია საინფორმაციო სისტემების და ბიზნეს უსაფრთხოების პრობლემები და მათი გადაჭრის ტექნოლოგიების შესწავლაზე;
6. მნიშვნელოვნად გაუმჯობესებულია სტრატეგიული მენეჯმენტი და ადამიანური რესურსების სტრატეგიული მართვა. სასწავლო კურსებში მოხდა საგნების თემატიკის დახვეწა, საკითხები ჩამოყალიბდა სტრატეგიულიდან ოპერირების დონეზე.
7. დამსაქმებლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში გათვალისწინებულია სტუდენტების რაოდენობა, პრაქტიკის მიზანი და ხანგრძლივობა.
8. ბოლო ერთი წლის განმავლობაში უსდ-მ უზრუნველყო სტუდენტების კონფერენციებში ჩართვა.

რჩევ(ებ)ი[8]

1. ----------
2. ----------

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რჩევების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია[9]

დამატებითი ინფორმაცია[10]

უდს-ს მიერ წარმოდგენილი ანგარიშიდან ირკვევა, რომ ანგარიშის მომზადების პერიოდისთვის პროგრამის განხორციელება დაწყებული არ არის.

რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის გათვალისწინების შესახებ[11]

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
რეკომენდაცია I[12]	პროგრამაზე დაშვების წინაპირობაში დაკონკრეტდეს უცხო ენა და ჩაიწეროს - ინგლისური ენა და ცოდნის დონე B2.
შეფასება	**რეკომენდაცია ნაწილობრივ შესრულებულია** უსდ-ს მიერ წარმოდგენილი მასალებზე დაყრდნობით ირკვევა, რომ დაშვების წინაპირობაში ადრე არსებულ

[8] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით (რჩევების გათვალისწინება არ არის სავალდებულო)
[9] საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.
[10] საგანმანათლებლო დაწესებულების გადაწყვეტილებით, საჭიროების შემთხვევაში
[11] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების ან/და რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით
[12] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

	ჩანაწერში „კონკურსანტი აბარებს გამოცდას უცხო ენაში, რათა დადგინდეს უცხო ენის ცოდნის დონე ან შეუძლია წარმოადგინოს უცხო ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)“ დაკონკრეტდა მხოლოდ გამოცდის B2 დონის ინგლისური ენის ჩაბარება, ხოლო სერტიფიკატის შემთხვევაში ჩანაწერი უცვლელად არის დატოვებული, შესაბამისად კონკურსანტს შეუძლია წარადგინოს უცხო ენის დამადასტურებელი სერტიფიკატი, რაც კონკრეტულად არ გულისხმობს ინგლისურ ენის B2 დონეს. რეკომენდირებულია სერტიფიკატის შემთხვევაში დაკონკრეტდეს ინგლისური ენა და B2 დონე.
რჩევა[13] I	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	საგანმანათლებლო პროგრამა; უსდ-ს ვებ გვერდი.

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.3. სასწავლო კურსი
რეკომენდაცია II[14]	**დაზუსტდეს სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობები შემდეგ სასწავლო კურსებზე: „პრაქტიკა“, „ბიზნეს-მოდელირების კომპიუტერული ტექნოლოგიები“, „ბიზნესინგლისური“.**
შეფასება	**რეკომენდაცია შესრულებულია** აღნიშნული რეკომენდაციის გაცემა განპირობებული იყო იქიდან, რომ სააკრედიტაციოდ წარმოდგენილ სილაბუსებში მითითებული წინაპირობები განსხვავდებოდა პროგრამაში მითითებულ წინაპირობებისგან. ამ ეტაპზე უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ: 1. სასწავლო კურსში „ბიზნეს ინგლისურის“ დაშვების წინაპირობად ჩაიწერა - ინგლისური ენა B2 დონე; 2. სასწავლო კურსში „ბიზნეს-მოდელირების კომპიუტერული ტექნოლოგიები“ დაშვების წინაპირობად ჩაიწერა - „ობიექტორიენტირებული პროგრამირება (C++ C#)“;

[13] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)
[14] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

	3. „პრაქტიკის“ სილაბუსის დაშვების წინაპირობად ჩაიწერა - „ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კურსები მე-2 სემესტრის ჩათვლით.“
რჩევა[15] II	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	საგანმანათლებლო პროგრამა სასწავლო კურსების სილაბუსები

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.3. სასწავლო კურსი
რეკომენდაცია III[16]	სასწავლო კურსი „ობიექტ-ორიენტირებული პროგრამირება (C++/C#)“ შინაარსი გაძლიერდეს მაგისტრატურის დონის შესაბამისად.
შეფასება	**რეკომენდაცია შესრულებულია** უდს-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ სასწავლო კურსში „ობიექტ-ორიენტირებული პროგრამირება (C++/C#)“ შეიცვალა პირველი ხუთი ლექციის თემატიკა მაგისტრატურის დონის შესაბამისად.
რჩევა[17] III	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	სასწავლო კურსის „ობიექტ-ორიენტირებული პროგრამირება (C++/C#)“ სილაბუსი

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.3. სასწავლო კურსი
რეკომენდაცია IV[18]	კურსში „ქსელური ტექნოლოგიები და კომუნიკაციები“ ჩაემატოს უკაბელო კომუნიკაციების საკითხები.
შეფასება	**რეკომენდაცია შესრულებულია** უდს-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით ირკვევა, რომ აღნიშნულ სასწავლო კურსის მეშვიდე

[15] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)
[16] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)
[17] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)
[18] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

	ლექციის თემატიკაში დამატებულია საკითხები უკაბელო ქსლური მოწყობილობების შესახებ.
რჩევა[19] IV	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	სასწავლო კურსის „ქსელური ტექნოლოგიები და კომუნიკაციები“ სილაბუსი

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.3. სასწავლო კურსი
რეკომენდაცია V[20]	სასწავლო კურსი - „ინფორმაციის დაცვა და უსაფრთხოება“ შეიცვალოს სხვა კურსით, რომელშიც შეისწავლება კიბერუსაფრთხოების და კიბერთავდაცვის საკითხები.
შეფასება	**რეკომენდაცია შესრულებულია** აღნიშნული რეკომენდაციის გაცემა განპირობებული იყო იქიდან, რომ კურსში ისწავლებოდა კრიპტოლოგიის საკითხები. რეკომენდაციის გათვალისწინების მიზნით წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ სასწავლო კურსი შეიცვალა ახალი კურსით „ინფორმაციის დაცვა ბიზნესში და კიბერუსაფრთხოება“. კურსი ორიენტირებულია მაგისტრებს შეასწავლოს საინფორმაციო სისტემების და ბიზნეს უსაფრთხოების პრობლემები და მათი გადაჭრის ტექნოლოგიები.
რჩევა[21] V	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	სასწავლო კურსის „ინფორმაციის დაცვა ბიზნესში და კიბერუსაფრთხოება“ სილაბუსი

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.3. სასწავლო კურსი

[19] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)
[20] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)
[21] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

რეკომენდაცია VI[22]	ვინაიდან აღნიშნული პროგრამა არის ბიზნეს-ინფორმატიკის, ბიზნესის მიმართულებით გადაიხედოს და დაიხვეწოს საგნების თემატიკა, ჩამოყალიბდეს სტრატეგიულიდან ოპერირების დონეზე
შეფასება	**რეკომენდაცია შესრულებულია** წარმოდგენილი მასალებიდან ირკვევა, რომ მნიშვნელოვნად გაუმჯობესებულია სტრატეგიული მენეჯმენტი და ადამიანური რესურსების სტრატეგიული მართვა. სასწავლო კურსებში მოხდა საგნების თემატიკის დახვეწა, საკითხები ჩამოყალიბდა სტრატეგიულიდან ოპერირების დონეზე.
რჩევა[23] VI	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	სასწავლო კურსის „ადამიანური რესურსების სტრატეგიული მართვა“ სილაბუსი; სასწავლო კურსის „სტრატეგიული მარკეტინგი“ სილაბუსი; სასწავლო კურსის „სტრატეგიული მენეჯმენტი“ სილაბუსი; სასწავლო კურსის „სტრატეგიული ბრენდ-მენეჯმენტი“ სილაბუსი.

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
რეკომენდაცია VII[24]	დამსაქმებლებთან გაფორმებული მემორანდუმები გათვალისწინებული იქნეს სტუდენტების რაოდენობა, პრაქტიკის მიზანი და ხანგრძლივობა.
შეფასება	**რეკომენდაცია შესრულებულია** უსდ-ს მიერ წარმოდგენილ ანგარიშის დოკუმენტებში არის ორი ხელშეკრულება პრაქტიკის ობიექტთან: შპს

[22] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)
[23] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)
[24] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

	„სერვისჰაბი“ და შპს, „ტექაღრიცხვა“, სადაც გათვალისწინებულია პრაქტიკის მიზანი, ხანგრძლივობა და სტუდენტების რაოდენობა (არაუმეტეს 10 სტუდენტისა).
რჩევა[25] VII	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	ხელშეკრულებები

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებ-ლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
რეკომენდაცია VIII[26]	**რეკომენდირებულია უსდ-მ დანერგოს მოცემული პროგრამისთვის ქმედითი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტების ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებსა და კვლევით პროექტებში ჩართვას**
შეფასება	**რეკომენდაცია შესრულებულია** უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე ირკვევა, რომ ბოლო ერთი წლის განმავლობაში ბიზნეს-ინფორმატიკის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტები აქტიურად მონაწილეობენ კონფერენციებში: კერძოდ „სტუდეტთა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ინფორმაციული ტექნოლოგიები და მათი გამოყენება“ რომელიც გაიმართა 2021 წლის 23 ნოემბერს მონაწილეობა მიიღო სამაგისტრო პროგრამის სამმა სტუდენტმა; „სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა სამეცნიერო ონლაინ კონფერენცია“ რომელიც ჩატარდა 2021 წლის 22 ივნისს მონაწილეობა მიიღო სამაგისტრო პროგრამის სამმა სტუდენტმა.
რჩევა[27] VIII	

[25] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)
[26] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)
[27] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	კონფერენციის „ინფორმაციული ტექნოლოგიები და მათი გამოყენება“ პროგრამა; კონფერენციის „სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა სამეცნიერო ონლაინ კონფერენცია“ პროგრამა.

თანდართული დოკუმენტაცია[28]

1. ბიზნეს-ინფორმატიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა - 22 გვერდი
2. ობიექტ-ორიენტირებული პროგრამირება (C++ C#) - 8 გვერდი;
3. ქსელური ტექნოლოგიები და კომუნიკაციები - 7 გვერდი;
4. ინფორმაციის დაცვა ბიზნესში და კიბერუსაფრთხოება - 7 გვერდი;
5. ბიზნეს-მოდელირების კომპიუტერული ტექნოლოგიები- 7 გვერდი;
6. ბიზნეს ინგლისური - 10 გვერდი;
7. პრაქტიკის სილაბუსი - 7 გვერდი;
8. სტრატეგიული მარკეტინგი - 8 გვერდი;
9. სტრატეგიული მენეჯმენტი გლობალურ გარემოში- 12 გვერდი;
10. ადამიანური რესურსების სტრატეგიული მართვა-9 გვერდი;
11. სტრატეგიული ბრენდ-მენეჯმენტი - 7 გვერდი;
12. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სხდომის ოქმი №17 – 5 გვერდი;
13. ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმი ოქმი №18 - 6 გვერდი;
14. ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმი ოქმი № 20 - 5 გვერდი;
15. ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილება #09/6 - 1 გვერდი;
16. აკადემიური საბჭოს დადგენილება #42 - 1 გვერდი;
17. სამუშაო ჯგუფის შეხვედრების ფოტომასალა - 6 ფაილი/გვერდი;
18. ხელშეკრულება სჯსუ-შპს „სერვისჰაბი“ – 4 გვერდი;
19. ხელშეკრულება სჯსუ-შპს„ ტექაღრიცხვა“ – 4 გვერდი;
20. ERASMUS+“Developing and Implementing Technology-Enhanced Teaching and Learning at Georgian“ ხელშეკრულება - 14 გვერდი;
21. 2021 წლის საერთაშორისო კონფერენციის პროგრამა - 25 გვერდი;
22. 2021 წლის საერთაშორისო კონფერენციის ფოტომასალა - 9 ფაილი/გვერდი;
23. 2020 წლის IT კონფერენციის პროგრამა - 19 გვერდი;
24. 2021 წლის კონფერენციის პროგრამა - 6 გვერდი;
25. 2020 წლის IT კონფერენციის ფოტომასალა -4 ფაილი/გვერდი;
26. 2021 წლის კონფერენციის ფოტომასალა - 4 ფაილი/გვერდი;
27. მაქსიმ იავიჩის ლექცია ფოტომასალა - 4 ფაილი/გვერდი;
28. ასოცირებული პროფესორის ვასილ ტაბატაძის ლექცია - 5 ფაილი/გვერდი;
29. პროგრამირების ჯგუფის შეხვედრის ფოტომასალა -4 ფაილი/გვერდი;

[28] თითოეული დოკუმენტის დასახელება და ფურცლების რაოდენობა

ექსპერტის ხელმოწერა